ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვალ დაიხურება სსრ კავშირის IV საიუბილეო სპარტაკიადა

საუკეთესო სურვილები

ვინიპეგის (კანადა) პანამერიკული თამაშების მონაწილე ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის სპორტსმენები სალამსა და საუკეთესო სურვილებს უთვლიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სპორტსმენებს — სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის მონაწილეებს.

გენერალი **ხოსე კლარკი**,
პანამერიკული სპორტული ორგანიზაციის პრეზიდენტი.

* * *

ეს მისალმება ვინიპეგიდან მოსკოვს ჩამოიტანა კანადის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ალან მაკიჩენმა.

სპარტაკიადის მონაწილეთა პატივსაცემად

სსრ კავშირის ხალხთა IV საზაფხულო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა 31 ივლისს საზეიმო მიღება მოაწყო სპარტაკიადის მონაწილეთა და უცხოელი სტუმრების პატივსაცემად.

მიღებას ესწრებოდნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, პ. ნ. დემიჩევი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. დ. მაშინი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, სპარტაკიადის პრიზიორები, საბჭოთა სპორტის ვეტერანები, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკური საბჭოების ხელმძღვანელები და სხვები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 150
(3380)

3

1967 წ.
აგვისტო.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
23-ე წელი

IV СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР
50

პირველად პირველნი...

შოთა ლომიძე — ჩემპიონი

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა შედეგები შეაჯამეს. გუშინ გაიმართა ფინალური ტურნირი. უმჩატეს წონაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ნ. ალბარიანი (სომხეთი), ჩვენი ზ. შეყრილაძე V ადგილს დასჯერდა. მჩატეში, როგორც მოსალოდნელი იყო ყველას ა. ალიევმა (რსფსრ) აჯობა. გ. გოგიჩაიშვილი XII ადგილით დაკმაყოფილდა. სხვა წონებიდან ჩვენი სპორტსმენები ოქროსთვის იბრძოდნენ ქვემსუბუქ, მსუბუქ, ქვესაშუალო, საშუალო და ქვემძიმე წონებში, მაგრამ გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მხოლოდ ერთი — შ. ლომიძე, რომელსაც საამისოდ უკრაინელ ვ. გულიუტკინთან ფრეც აძლევდა ხელს. მისი მიღწევა კი ლომიძისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა.

ქვემსუბუქ წონაში ჰუსეინოვის ქულებით დამარცხების შემდეგ ე. თედეევს (რსფსრ) გადამწყვეტი შეხვედრა ჰქონდა ს. ქარსაულიძესთან (საქართველო), რომელსაც პირველი ადგილისთვის შეხვედრის ფრედ დამთავრებაც ყოფნიდა. ქარსაულიძემ აქტიურად დაიწყო, ქულაც აართვა მეტოქეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო და ქულებით დამარცხდა. იგი „ვერცხლს" დასჯერდა.

ზ. ბერიაშვილი და ი. გუსოვი (უკრაინა) ადრეც ბევრჯერ შერკინებიან ერთმანეთს პირველობისთვის ბრძოლაში, მაგრამ უპირატესობა მუდამ ქართველი სპორტსმენის მხარეს იყო, ახლა კი ფინალში ბერიაშვილს მხოლოდ მოგება ესაჭიროებოდა. ამიტომაც აქტიურად დაიწყო ბრძოლა, ილეთის ჩატარებისას კი 2 ქულა დაკარგა და ჩემპიონობაც გუსოვს დარჩა.

გ. სალარაძეს ქვესაშუალო წონაში ჩემპიონობისთვის თუ „ოქროს" მესამე მაძიებლის, აქსიონოვის მხოლოდ წმინდად დამარცხება ესაჭიროებოდა, ი. შახმურადოვს (რსფსრ) ამ მიზნის მისაღწევად აქსიონოვზე ქულებით გამარჯვებაც ყოფნიდა. სინამდვილეში აქსიონოვმა ორივესთან ფრეს მიაღწია, რამაც I ადგილი შახმურადოვს, II — სალარაძეს მოუტანა.

საშუალო წონაში ა. ცხოვრებოვმა ვერ შეძლო გ. გურევიჩის (უკრაინა) დაძლევა, ფრეს და მასთან II ადგილს დასჯერდა.

მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა ა. მედვედი (ბელორუსია), გ. გოგიბედაშვილი მეხუთე იყო.

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, საქართველოს გუნდმა სპარტაკიადების ისტორიაში პირველად მოიპოვა უძლიერესის სახელი.

ეს „სამი მუშკეტერი" სამი სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელია და სამივემ საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. მოლდავეთის ველოსიპედისტი ვ. პეტროვი (ძარცხნივ) საგზატკეცილო ჯგუფურ რბოლაში სცდიდა ძალას. რესპუბლიკის დელეგაციას პირველი ოქროს მედალი სწორედ მან მოუტანა—ყველაზე სწრაფად (4:19.27) დაფარა 173,6 კილომეტრი. სოხუმელმა ფიზალზრდის მასწავლებელმა ა. კოსტანმა (შუაში) სპორტის ოსტატობა აფხაზეთის სპარტაკიადაში შეასრულა, საქართველოს სპარტაკიადაში პირველობა დაისაკუთრა, საკავშირო სარბიელზე კი 100 მეტრზე რბენაში იასპარეზა და ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი. მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს გ. კოსტავას — სპარტაკიადის მესამე პრიზიორს დაშნით ფარიკაობაში.

ფოტო ვ. შანდრინისა (საკდესი).

გუშინ...

ჩოგბურთელთა ტურნირში უკვე გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. წყვილთა შეხვედრებში ა. მეტრეველმა და ს. ლიხაჩოვმა მოუგეს ვ. ეგოროვსა და ვ. კოროტკოვს — 6:3, 6:2, 6:2. ქალთა ასპარეზობაში კი პირველობა გ. ბაკშეევამ და გ. დმიტრიევამ დაისაკუთრეს. მათ სძლიეს ვ. ჩუვირინა — რ. ისლანოვას „დუეტს" — 6:0, 8:6. მეტრეველმა ერთეულთა ნახევარფინალში დაამარცხა ლიხაჩოვი — 6:2, 6:3, 7:5 და ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე ეგოროვი იქნება.

წყალბურთში ბოლოსწინა შეხვედრები მოეწყო. მოსკოვის გუნდმა უკრაინის კოლექტივზე გამარჯვებით უკვე გაინაღდა ჩემპიონობა. საქართველოსა და ლენინგრადის წყალბურთელთა მატჩის ანგარიშია 4:4.

ჩვენი ჭაბუკები კარგად გამოვიდნენ მოტოკროსსა და კარტინგებით ასპარეზობაში. მოტოკროსში III, კარტინგში — II ადგილები დაიკავეს. კარტინგით პირად შეჯიბრებაში თბილისელმა ჭაბუკმა რ. აკოფოვმა „ბ" ფორმულაში ჩემპიონობა დაისაკუთრა, „ე" ფორმულაში III იყო ჯანიაშვილი. ვაჟებში „დ" ფორმულის კარტინგებით შეჯიბრება მოიგო ვეისმა (ლატვია). ჩვენმა ო. ხარაძემ „ბრინჯაოს" მედალი დაისაკუთრა.

საქართველოს „სპორტის დედოფლის" რაინდებიდან ი. დელა-როსამ და ა. შჩერბინამ გვასახელეს: 50 კმ სპორტულ სიარულში მათ II და III ადგილები დაიკავეს (4:06.08,4 და 4:06.41,0 შესაბამისად). ჩემპიონობა კი გ. აგაპოვს (რსფსრ) ხვდა წილად — 4:05.46,6. ჭოკით ხტომა მოიგო ი. ფელდმა (ლენინგრადი) — 515 სმ.

ყველაზე უხვმოსავლიანი მოცურავეთა შეჯიბრება გამოდგა: დამყარდა 2 ევროპის, 8 — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 248 რეკორდი. გუშინ 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში გაიმარჯვა უკრაინის ქალთა გუნდმა 4.14,4. ვაჟთა ესტაფეტაში (4×200 მ) კი მოსკოვის კვარტეტმა — 8.15,2. ამ სახეობაში ფიზკულტურის კოლექტივების ტურნირში თბილისის სპორტკლუბი „გამარჯვება" VII ადგილზეა. (ლიდერობს მოსკოვის საავტომობილო ქარხნის გუნდი).

I მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში საქართველოს გუნდის წევრმა ა. ჯეჯელავამ III ადგილი დაიკავა.

ტყვიის სროლა. უკრაინის გუნდმა „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლით 918 ქულა მოაგროვა, რაც 10 ქულით სჯობია სსრ კავშირისა და მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდებს. 19 წლის პ. პლოხოტნიუკმა (უკრაინა) პირად ჩათვლაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 235 ქულა. ასეთივე შედეგით II იყო ვ. პოსტოიანოვი (რსფსრ). მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ს. ფარულავამ 596 ქულა მოაგროვა და 2 ქულით გააუმჯობესა საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი. მანვე სპარტაკიადაზე პირველობა მოიპოვა თანატოლებში.

**(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი.**

წუთში — 240...

რადიოგრამების მიღებასა და გადაცემაში გამართულ ტურნირში, რომელიც მინსკში მიმდინარეობდა, თავი ისახელა ა. ოხოტნიკოვმა (რსფსრ). გადაცემათა მიღების მისი სისწრაფე სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა: წუთში ხელით 240 ნიშანს იწერდა და გადაცემდა. II ადგილი წილად ხვდა ი. ანდრიენკოს (უკრაინა), III — საქართველოს წარგზავნილს მ. სადუკოვს.

ქალებში სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა ა. გლოტოვამ, ვერცხლისა — ნ. სოლოვეიმ (ორივე — რსფსრ), ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ი. ანდრიენკომ, ვერცხლის პრიზიორის ი. ანდრიენკოს მეუღლემ.

საბეჭდ მანქანაზე რადიოტექსტის სწრაფ ჩაწერაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქალები: 1. ა. ვოსტრიკოვა (რსფსრ), 2. ვ. ტარუსოვი (მოსკოვი), 3. თ. დანჩენკო (უკრაინა); ვაჟები — 1. ნ. ზოლომინი (რსფსრ), 2. ლ. გასპარიანი (სომხეთი), 3. რ. გარეიშინი (რსფსრ).

გუნდურ ჩათვლაში საბოლოო შედეგები ასეთია: 1. რსფსრ, 2. უკრაინა, 3. მოსკოვი, 4. სომხეთი, 5. საქართველო, 6. ლენინგრადი.

IV СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР
1917
1967

სნაიპერები

ტყვიისა და სასტენდო სროლის ოსტატებმა წარმატებით იასპარეზეს. რსფსრ-ს გუნდმა (კორნევი, ლუსტბერგი, ქეროვი, რომაკოვი) ტყვიის სროლაში და ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში 4617 ქულა დააგროვა, რაც 18 ქულით აღემატება სსრ კავშირის ძველ რეკორდს და 15 ქულით — ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში ჩემპიონობა ბელორუსიელმა ე. იაროშმა მოიპოვა — 1161 ქულა, II ადგილზე გავიდა კორნევი — 1152. პარხიმოვიჩს, ქველიაშვილს, კონიაპინსა და ლიაშენკოს ერთნაირი შედეგი (1150 ქულა) აღმოაჩნდათ.

მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო მოსკოველი ვ. პეტროვი, რომელმაც პირად პირველობაში სსრ კავშირის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — 200-დან არც ერთი სამიზნისათვის არ დაუცილებია. II ადგილზე გასულმა მისმა თანაგუნდელმა დურნევმა ორ სამიზნეს ააცილა. ასეთივე შედეგი აჩვენა კიდევ სამმა სპორტსმენმა — კაპლუნმა (უკრაინა), პოლიანსკიმ (რსფსრ) და პოლემ (ყაზახეთი). მათ ადგილებიც ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს.

რაც შეეხება ადგილიდან სროლას, პირველი 100 სამიზნის მიღების შემდეგ ლიდერობდა მოსკოველი რასკაზოვი, რომელსაც 99 ქულა ჰქონდა. ასეთივე მაჩვენებლით მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა სოხუმელი კ. დარასელია. შემდეგ რასკაზოვი ჩამორჩა და დაწინაურდა მისივე თანაგუნდელი სენიჩევი. დარასელიამ მეორე 100 გასროლიდან კიდევ ერთ სამიზნეს დააცილა და 193 ქულით ლიდერობდა სენიჩევთან ერთად. საპრიზო ადგილების ბედი ბოლო 100 გასროლას უნდა გაერკვია. სენიჩევმა და დარასელიამ კიდევ თითო სამიზნეს დააცილეს. საბოლოოდ თვითეულმა 300-დან 297 ქულა დააგროვა და 3 ქულით გადააჭარბა საკავშირო რეკორდს. ოქროს მედალი სენიჩევს მიეკუთვნა, ვერცხლისა — დარასელიას. რსფსრ-ს გუნდის წევრი კოსტილიევი III ადგილზე გავიდა — 295 ქულა.

როცა ფინიში სულ ახლოა...

მსაჯებს ეს არ ეკადრებათ...

მოსკოვი, 2 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოფარიკავეთა პირად პირველობას ბევრი მაღალი რანგის სპორტსმენი ამშვენებდა. დაშნის სპეციალისტთა ტურნირში გამარჯვებისთვის პრეტენზიას აცხადებდნენ მსოფლიო ჩემპიონი ა. ნიკანჩიკოვი (ბელორუსია), ოლიმპიური ჩემპიონი გ. კრისი (უკრაინა), სსრ კავშირის უძლიერესი მოფარიკავენი გ. კოსტავა (საქართველო), ი. ვიტებსკი (უკრაინა), ვ. დონინი (ყირგიზეთი)... ყველა საბრძოლოდ იყო შემართული—გუშინ დილიდან გვიან ღამემდე უნივერსიტეტის სპორტდარბაზში განუწყვეტლივ ისმოდა იარაღის ჟღარუნი.

წინასწარი შეჯიბრება მხოლოდ ოთხმა განვლო დაუმარცხებლად: კოსტავამ, კრისმა, ვ. პარფიონოვმა (რსფსრ) და ნიკანჩიკოვმა. ამ ოთხეულს დაემატნენ დამამშვიდებელ ბრძოლაში გამარჯვებული ი. ვიტებსკი და ვ. დონინი.

საპრიზო ადგილებისთვის გაჩაღებული პირველი ბრძოლები ფავორიტებმა მოიგეს: კრისმა დაამარცხა ვიტებსკი — 5:2, კოსტავამ (ასეთივე ანგარიშით) — პარფიონოვი. ეს იყო. ნიკანჩიკოვმა წააგო დონინთან — 4 : 5.

კოსტავასა და კრისის შეხვედრა თავიდან თანაბრად წარიმართა. პირველი ჩხვლეტა მიაყენა ქართველმა ოსტატმა. შემდგომში, როცა კოსტავამ მარჯვედ მოქნეული დაშნა მოულოდნელად აცილა მეტოქეს და თავად მიიღო ჩხვლეტა, სწორი მოქმედების გეგმა აეშალა, დაკარგა მიზანდასახულობა, გამბედაობა... საბოლოოდ, მარცხი — 2 : 5.

კრისს დიდხანს არ შერჩა ლიდერობა: იგი ნიკანჩიკოვის მსხვერპლი გახდა — 1 : 5. ამრიგად, მარცხის სიმწარე ყველა ფინალისტმა იგემა.

როცა კოსტავამ ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა (ნიკანჩიკოვთან და დონინთან), იგი კრისთან ერთად დაწინაურდა, ახლა ორივეს 3-3 მოგება და თითო წაგება ჰქონდა.

კრისი — დონინი. ყველა ელოდა, რომ შეხვედრა მეტად დაძაბული იქნებოდა, მაგრამ ასე როდი მოხდა. დონინი ძალიან დუნედ, უხალისოდ მოქმედებდა, რაც, ცხადია, კარგად გამოიყენა კრისმა: მან პირდაპირ „დაჩხვლიტა" მეტოქე.

ყველა სახტად დარჩა ასეთი „ბრძოლით". და აი, როცა ანგარიში 4 : 1 იყო კრისის სასარგებლოდ, მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრება შეწყვიტა და დაასკვნა, რომ იგი ფიქტიური იყო. ერთსაათიანი კამათისა და სჯა-ბაასის შემდეგ (ერთნი ორივე სპორტსმენის მოხსნას ითხოვდნენ, მეორენი — მარტო დონინისას) მხოლოდ დონინი დასაჯეს: გააფრთხილეს... პასიურობისთვის. იბადება სავსებით ელემენტარული კითხვა: თუ შეხვედრა ფიქტიური იყო და დონინი უბრძოლველად აპირებდა კრისთან დამარცხებას (რასაც ეს უკანასკნელიც კარგად გრძნობდა), რატომ დაისაჯა მარტო დონინი? ჩვენი აზრით, მსაჯთა კოლეგიამ სათანადო ობიექტურობა და შესაბამისი სიმკაცრე ვერ გამოიჩინა, ყოვლად უხეირო, ლიბერალური გადაწყვეტილება გამოიტანა და ამით მაყურებლებზე ძალიან უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

ვიტებსკისთან გამარჯვების შემთხვევაში კოსტავას „ოქროსთვის" გადამწყვეტი ბრძოლა კრისთან ექნებოდა. მაგრამ უჩვეულო რამ მოხდა. სანამ მეტოქეებმა თითოჯერ უჩხვლიტეს ერთმანეთს, ძირითადი დროც ამოიწურა. გადამწყვეტ ერთწუთიან ბრძოლაში რომელიმეს პირველად უნდა განეხორციელებინა ჩხვლეტა, — თუ არა და, მეტოქეებს წაგება ჩაეთვლებოდათ. ამ მომენტში კოსტავა შეტევის მაგიერ დაცვაზე გადავიდა და... ორივე დამარცხდა.

კრისი უკვე ჩემპიონი გახდა.

II და III ადგილებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს კვლავ კოსტავა და ნიკანჩიკოვი შეხვდნენ. ახლა ნიკანჩიკოვმა აიღო რევანში (3 : 2), რამაც მას ვერცხლის მედალი მოუპოვა. კოსტავა „ბრინჯაოს" დასჯერდა.

გულშემატკივართა ვარაუდი არ გამართლდა

ჩოგბურთელთა ტურნირის მრავალრიცხოვანი მაყურებელი ჯერ კიდევ პირადი შეჯიბრების დაწყებამდე მოუთმენლად ელოდა ჩვენი ქვეყნის ორი მოწინავე ოსტატის — თბილისელი ა. მეტრეველისა და ტალინელი თ. ლეიუსის შემდგომ მატჩს ჩემპიონის სახელისთვის. მაგრამ გულშემატკივრების ვარაუდი არ გამართლდა, ეს ორთაბრძოლა არ შედგა, ვინაიდან ესტონელი ლენინგრადელ ა. ივანოვთან დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.

ფილისყრამ მეოთხედფინალში ერთმანეთს „თანამემამულენი" — მეტრეველი და კაკულია შეახვედრა. გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა — 6 : 1, 2 : 6, 6 : 2, 6 : 0.

ნახევარფინალურ შეხვედრებში მეტრეველთან ერთად იასპარეზებენ ა. ივანოვი (ლენინგრადი), ა. ეგოროვი (მოსკოვი) და ს. ლიხაჩოვი (აზერბაიჯანი).

უხეიროდ

წყალბურთელთა ფინალურ ტურნირში საქართველოს გუნდს ასე უხეიროდ არასდროს უასპარეზია. უკრაინის ნაკრებთან შეხვედრამდე მას კიდევ ჰქონდა II ადგილის მოპოვების შანსი (საამისოდ ჯერ უკრაინის, მერე ლენინგრადის წყალბურთელები უნდა დაემარცხებინა, ხოლო აზერბაიჯანის გუნდს დარჩენილი მატჩები უნდა... წაეგოთ). მაგრამ გუშინ უკრაინის ნაკრებთან თამაში ჩვენებისთვის თავიდანვე ცუდად წარიმართა, ხოლო მატჩის დამთავრებისთანავე 7 წამით ადრე ისინი აგებდნენ ანგარიშით 3 : 4. გუნდი მარცხისაგან იხსნა სხირტლაძემ — 4 : 4.

მოსკოვის კოლექტივმა სძლია აზერბაიჯანის გუნდს — 4:1, რსფსრ-ს ნაკრებმა — ლენინგრადელებს — 5 : 4.

ბოლო ტურის წინ ლიდერობს მოსკოვის კოლექტივი, რომელსაც 6 ქულა აქვს. საქართველოს წყალბურთელები 1 ქულით VI ადგილზე არიან.

სხვა შეხვედრები

მოჭადრაკეთა ტურნირში ყველა გადადებული პარტია დამთავრდა. ბოლო ორ შეხვედრაში ჩვენებმა ერთნაირი ანგარიშით (4,5 : 5,5) წააგეს ბელორუსიისა და უკრაინის გუნდებთან და ახლა, ბოლო ტურის წინ, ისევ VI ადგილზე იმყოფებიან.

IV ტურში მოსკოველებმა სძლიეს ლენინგრადელებს — 7,5 : 2,5, რსფსრ-ს წარმომადგენლებმა — ბელორუსიის ნაკრებს — 7 : 3. სადღეისოდ მთავარ ფინალურ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: მოსკოვი — 24 ქულა, რსფსრ — 23, უკრაინა — 22,5, ლენინგრადი — 17,5, ბელორუსია — 17, საქართველო—16.

საქართველოს მძლეოსნებს თითქოს ვერაფერს დავემდურებით — ამდენი საპრიზო ადგილი მათ საერთოდ არ ჰქონიათ. გუნდი გუშინდლამდე VI ადგილზე იყო, მაგრამ გუშინ მოულოდნელი და გაუგებარი ამბავი მოხდა: ათჭიდში სსრ კავშირის ჩემპიონმა ი. დიაჩკოვმა ასპარეზობა მიატოვა და საერთო ჩათვლაში ჩვენი კოლექტივი ერთბაშად IX ადგილზე გადავიდა.

ზ. ჯაფარიძე,
ნ. გუგუშვილი.

რსფსრ-ს სპორტსმენები I ადგილზე

ლენინგრადი, 30 ივლისი. წიდოვან ბილიკზე მოტორბოლა მოიგეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა — ნ. პლეხანოვმა, ზ. სამოროდოვმა, გ. კადიროვმა და გ. კურილენკომ. პლეხანოვმა პირველსავე ცდაზე 3 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ეს წარმატება შემდეგ განამტკიცა სამოროდოვმა, რომელმაც ყველაზე უკეთესი დრო აჩვენა — 1.18,0. რსფსრ-ს გუნდმა 39 ქულა მოაგროვა. II ადგილზე არიან ლენინგრადელები — 28,5 ქულა, III — უკრაინის წარმომადგენლები — 18.

[illegible]

მდგომარეობა
2 აგვისტოსთვის

1. მოსკოვი — 593
2. რსფსრ — 574
3. უკრაინა — 556
4. ლენინგრადი — 478
5. საქართველო — 422
6. ყაზახეთი — 405
7. ბელორუსია — 398
8. ლატვია — 353
9. ლიტვა — 352
10. უზბეკეთი — 343
11. აზერბაიჯანი — 322
12. ესტონეთი — 310.5
13. სომხეთი — 246
14. მოლდავეთი — 201
15. ყირგიზეთი — 191
16. თურქმენეთი — 134
17. ტაჯიკეთი — 123,5

ქულების განაწილებაში ერთგვარი ცვლილება გამოწვეულია მსაჯთა კოლეგიის მიერ შედეგების ხელახალი გადაანგარიშებით.

[illegible] [illegible] შედეგები...

მძლეოსნობა

ქალები. სიგრძეზე ხტომა — 1. ტალიშევა (მოსკოვი) — 630 (სპარტაკიადის რეკორდი), 2. რინგა (ლატვია) — 622, 3. სტაროსტენკო (უკრაინა) — 613; **100 მეტრზე თარჯრბენი:** 1. ბოლშოვა (მოლდავეთი) — 13,5, 2. ალფეევა — 13,7, 3. ჩერენევა (ორივე — მოსკოვი) — 13,7; **800 მეტრზე რბენა:** 1. ერიკი (ესტონეთი) — 2.06,0, 2. დუნაისკაია (უკრაინა) — 2.06,1, 3. პროდანი (მოსკოვი) — 2.06,2.

ვაჟები. უროს ტყორცნა: 1. კლიმი (ბელორუსია) — 68,20 (სპარტაკიადის რეკორდი), 2. კონდრაშოვი — 66,32, 3. ტრიბუნსკი (ორივე — რსფსრ) — 65,34; **110 მეტრზე თარჯრბენი:** 1. ბალიხინი (ბელორუსია) — 14,0, 2. მიხაილოვი (ლენინგრადი) — 14,1, 3. ჩისტიაკოვი (მოსკოვი) — 14,2; **ათჭიდი:** 1. აუნი (ესტონეთი) — 7622 ქულა, 2. მიხალჩენკო (ბელორუსია) — 7542, 3. ლანკა (ლატვია) — 7364, 4. ზოტოვი (უკრაინა) — 7302; **სიმაღლეზე ხტომა:** 1. გავრილოვი (მოსკოვი) — 212 (სპარტაკიადის რეკორდი), 2. ბოლშოვი (მოლდავეთი) — 209, 3. ბაკუნენკო (ლენინგრადი) — 209; **800 მეტრზე რბენა:** 1. კრიუჩეკი (ლენინგრადი) — 1.47,5 (სპარტაკიადის რეკორდი), 2. ჟელობოვსკი (ბელორუსია) — 1.47,7, 3. პოტაპჩენკო (ლენინგრადი) —1.43,3.

ძალოსნობა

ქვემძიმე წონა: 1. ტალტსი (ესტონეთი) — 502,5, 2. კალინიჩენკო (რსფსრ) — 482,5, 3. კიდიაევი (უკრაინა)—475, 4. ლიახი (რსფსრ) — 470, 5. კასიანოვი (ლენინგრადი) — 467,5, 6. პუმპურინში (ლატვია) — 465, ... 17. მიმინოშვილი (საქართველო) — 442,5.

ცურვა

ქალები. 400 მ თავისუფალი სტილით: 1. სოსნოვა — 4.50,7, 2. კონიუხოვა (ორივე — მოსკოვი) — 4.50,8, 3. ზარშჩიკოვა (რსფსრ) — 4.57,5; **200 მ კომპლექსური:** 1. ზახაროვა (რსფსრ)— 2.33,7 (სსრ კავშირის რეკორდი), 2. ბაბანინა (უზბეკეთი) — 2,34,2, 3. პოზდნიაკოვა (მოსკოვი)—2.36,7.

ვაჟები. 200 მ თავისუფალი სტილით: 1. ილიჩოვი (მოსკოვი) — 1.57,6 (ევროპის რეკორდი), 2. კულიკოვი (რსფსრ) — 2.00,6, 3. სპირიდონოვი (ლენინგრადი) — 2.02,4; **100 მ ზურგზე:** 1. გრომაკი (უკრაინა) — 1.01,3, 2. ფილიმონოვი — 1.02,4, 3. მაზანოვი (ორივე — მოსკოვი) — 1.02,4; **400 მ კომპლექსური:** 1. დუნაევი—4.47,2 (ევროპის რეკორდი), 2. ნოვოსელოვი — 4.56,2, 3. ფოტინი (ყველა — მოსკოვი) — 4.57,8, 4. იოაკიმიდი — 5.02,6 (საქართველოს რეკორდი).

ორნი ერთ ველოსიპედზე

ბოლო ჩემპიონები და მედლები...

გამოვლინდა სპარტაკიადის ბოლო ჩემპიონი ტრეკზე — ტანდემით რბოლაში გამარჯვებული დუეტი. პირველობა მოიპოვეს მოსკოველმა ვ. ლოგუნოვმა და ხარკოველმა ი. ცელოვალნიკოვმა. ეს ორი ველოსიპედისტი სტარტამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე შეამხანაგდნენ, მაგრამ დუეტის წარმატება იმან განაპირობა, რომ ორივე ექსტრა-კლასის სპორტსმენია — ლოგუნოვი მსოფლიოს ექსრეკორდსმენიც გახლავთ. ფინალში მათ მოუგეს ტულელებს ა. აგაპოვსა და ვ. ხიტროვს.

ქალებიდან ბოლო მედალს დაეუფლა ვ. სავინა. მან 3.56,6 აჩვენა 3 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თ. გარკუშინა და ვ. ივანოვა (ყველა — რსფსრ).

რადიოთი „მონადირენი"

გორკის მიდამოებში რამდენიმე დღეს გაგრძელდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული „ნადირობა მელაზე". ევროპის არაერთგზის ჩემპიონმა ა. გრეჩიხინმა კარგად დაიწყო, მაგრამ უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ჩემპიონობა მოიპოვა მოსკოველმა არმიელმა ვ. პრავკინმა, III ადგილზე გავიდა ლ. კოროლიოვი (რსფსრ).

ქალებში ყველაზე სწრაფი ორიენტირების უნარი გამოავლინა 20 წლის ი. ზავადსკაიამ (ყაზახეთი) და ოქროს მედალიც მას ხვდა. მომდევნო ადგილებზე არიან: მოსკოველი მ. გრომოვა და ტ. ალიშევა (რსფსრ).

გუნდური პირველობა რსფსრ-ს რადისტთა კოლექტივმა დაისაკუთრა.



სპარტაკიადის მონაწილეებს მეტისმეტად უხეირო ამინდი დაუდგათ — ყოველდღე წვიმს. ამან საგრძნობლად დასცა მძლეოსნების მაჩვენებლები, რამდენჯერმე შეწყვიტა ჩოგბურთელთა ტურნირი, მაგრამ მოცურავეებს ვერაფერი დააკლო. სწორედ ამ სახეობის წარმომადგენლებმა დაამყარეს ყველაზე მეტი რეკორდი, რომელთაგან ბევრი საკავშირო და ევროპული მასშტაბისაა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საკავშირო რეკორდის ავტორი გახდა მოსკოველი ვ. კრავჩენკო — 2.16,9.

• • •

სურათზე: ვ. კრავჩენკო.
ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატები რ. რურუა და შ. ქველიაშვილი რესპუბლიკის ინტერესებისთვის სპარტაკიადის სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდნენ და საერთო ყულაბაში სათანადო წვლილიც შეიტანეს. რურუას ჩემპიონობა არავის გაკვირვებია, სამაგიეროდ, ქველიაშვილმა, რომელსაც ტოკიოს ოლიმპიადის მერე აღარსად უასპარეზია, მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში დგომელა 373 ქულა მოაგროვა და III ადგილი მოიპოვა, სამი მდგომარეობის ჯამში კი 1150 ქულით IV ადგილი დაიკავა. მან აქ III ადგილი პარხიმოვიჩთან მხოლოდ უარესი ათიანების გამო წააგო.

სურათებზე: მარცხნივ — რ. რურუა, მარჯვნივ — შ. ქველიაშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა (ჩვენი სპეც. კორ.).

ფიზკულტურის სპეციალისტებს — მათემატიკური ცოდნა!

ყოველი უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო გეგმა ერთი პრინციპითაა აგებული: პირველ კურსებზე ასწავლიან საერთო თეორიულ დისციპლინებს, რომელთა საფუძველზეც შემდეგ უკვე შეიძლება გარკვეული სპეციალობის დაუფლება. სასწავლო გეგმების აგების დღევანდელი ტენდენცია მიმართულია ზოგად-თეორიული საგნების გაფართოებისა და გაღრმავებისკენ. ეჭვი არ არის, რომ კიბერნეტიკამ, როგორც მართვის ზოგადი კანონების მეცნიერებამ, მოწინავე ადგილი უნდა დაიკავოს სწავლებისა და წვრთნის პროცესში.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც ადამიანის ურთულეს მოძრაობებს შეისწავლიან, საერთო-თეორიულ სავალდებულო დისციპლინებში არ შედის ელემენტარულ-მათემატიკურ საფუძვლებზე აგებულ სპორტულ მოძრაობათა მექანიკა. ამგვარად, სტუდენტთა მომზადების სისტემაში დარღვეულია მთავარი პედაგოგიური პრინციპი — სწავლების თანმიმდევრობა.

ზოგად-თეორიულ საგნებად ისწავლება ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ჰიგიენა. ეს აუცილებელია, მაგრამ სულაც არ არის საკმარისი იმ მთავარი მიზნისთვის, რომ სპორტის მომავალმა სპეციალისტმა საფუძვლიანად შეისწავლოს სპორტსმენის ურთულესი მოძრაობა.

ბიომექანიკის შედარებით მცირე კურსი, რომელიც „დინამიური ანატომიის“ საფუძველზეა განვითარებული, სტუდენტს აუცილებელ ფიზიკა-მათემატიკურ ცოდნას ვერ მისცემს. ეს ყოველივე განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ახლა, როცა სწავლების სისტემა კიბერნეტიკას დაუკავშირდა.

სპორტულ-პედაგოგიურ დისციპლინებსა და სპორტული ტექნიკის განვითარებაში დიდ დახმარებას გაგვიწევს მათემატიკური და ბიომექანიკური ციკლის საგნები (მათემატიკა, სპორტული მოძრაობის მექანიკა, ბიომექანიკა და კიბერნეტიკა).

ცნობილია, რომ თანამედროვე სპორტული ტექნიკის შესწავლისა და განვითარებისთვის აუცილებელია კვლევის რთული ინსტრუმენტული მეთოდები. სპორტსმენის ტექნიკური ოსტატობის შეფასებისთვის საჭიროა უტყუარი რაოდენობრივი პარამეტრები. ყოველივე ამის რეალიზაციისთვისაც აუცილებელია ფიზიკა-მათემატიკური მომზადება.

ცნობილია ისიც, რომ თუ პედაგოგიური პროცესი კვალდაკვალ მიჰყვება მეცნიერების განვითარებას, ცოდნის მარაგი ყოველ 10-12 წელიწადში ორმაგად იზრდება. ამ ცოდნის დაუფლება მოითხოვს სწავლების რაციონალურ მეთოდებს და, პირველ ყოვლისა, ზუსტი მეცნიერებისთვის დამახასიათებელ ლაკონურობას. ფიზიკა-მათემატიკური მომზადება აუცილებელია ამ უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური ამოცანის გადასაჭრელად.

იმისთვის, რომ სამეცნიერო ლიტერატურა ვიკითხოთ, აუცილებელია თუნდაც ელემენტარული ფიზიკა-მათემატიკური საფუძვლები. ყოველივე ამის გამო მიგვაჩნია, რომ ჩვენს ფიზკულტურის ინსტიტუტში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა ფიზიკა-მათემატიკურ მომზადებას. მით უმეტეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა საყოველთაოდაა აღიარებული. ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტების მომზადებისთვის სათანადოდ ვერ ვიყენებთ რესპუბლიკის მეცნიერულ ცენტრებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის, კიბერნეტიკის ინსტიტუტის, გამოთვლითი ცენტრის, თბილისის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამოცდილებას. ეს ყოველივე თავისებურ დაღს დაასვამს ჩვენი კურსდამთავრებულების მუშაობას სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. იქნებ დღესდღეობით ეს არც იყოს თვალში საცემი, მაგრამ გავა რამდენიმე წელი და სპორტში მეცნიერული აზროვნების არიერგარდში აღმოვჩნდებით, ცოდნა არ გვეყოფა. ამგვარი ჩამორჩენა თავის მხრივ დაღს დაასვამს სპორტსმენთა მომზადების პრაქტიკას ყველა მთავარ სახეობაში.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმული ახალი ამბავი როდია. ჩვენ მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნავთ დასმული საკითხის დროულად გადაჭრის აუცილებლობას. მით უმეტეს, რომ ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტში უკვე მესამე (!) წელია ბიომექანიკის კურსის გარდა ისწავლება უმაღლესი მათემატიკის, თეორიული მექანიკის, ლოციომეტრიის (მოძრაობის შესწავლის მეთოდები და ხელსაწყოები), ბიომეტრიის (დაკვირვების შედეგების მათემატიკური დამუშავება) ელემენტები. ჩვენს წერილს მიზნად არ აქვს ამ საგნების საპროგრამო მასალის გადმოცემა, ეს საგანგებო მსჯელობის საგანია. ლესგაფტის სახელობის ინსტიტუტის გამოცდილება ამტკიცებს, რომ ამ დისციპლინების სწავლება იძლევა აუცილებელ თეორიულ საფუძვლებს სპორტულ-პედაგოგიური საგნების უფრო ღრმად შესწავლისთვის.

მათემატიკის სწავლებას სულ 56 საათი ეთმობა. ამ კურსის მთავარი ამოცანაა, რომ სტუდენტებს მისაწვდომი ფორმით მისცეს მათემატიკური ცოდნის მინიმუმი. იმდენი მაინც, რომ ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტს შეეძლოს თავისუფლად იკითხოს ის წერილები და შრომები, სადაც ფიზკულტურის თეორიის პრობლემებზეა ლაპარაკი, შეეძლოს გამოიყენოს სამუშაო მათემატიკური ინსტრუმენტი.

თეორიული მექანიკის (60 საათი) პროგრამა შეესაბამება ამ საგნის შემოკლებულ კურსს ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში (გარდა „მასალათა გამძლეობის“ კურსისა). მისი კითხვისა და ამოცანათა ამოხსნის დროს უმთავრესად ფიზკულტურისა და სპორტის პრაქტიკიდან აღებული მაგალითები გამოიყენება.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რომ თუ სურვილი იქნა, თავისუფლად შეიძლება ჩვენს ინსტიტუტშიც გამოიძებნოს დრო და ადგილი ამ ციკლის საგნების სწავლებისთვის. უამისოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაპარაკიც ზედმეტია ფიზკულტურის სპეციალისტთა სათანადოდ მომზადებაზე.

ლ. გიორგაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

აკადემიზმი და შთაგონება

ფრენბურთი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე

დაობდნენ და დაობენ: როგორი ფრენბურთია უკეთესი — აკადემიური თუ კომბინაციური, ძალისმიერი თუ ტაქტიკურად მრავალფეროვანი? სპარტაკიადაში პირველი შეხედულების გამომხატველი გახლდათ მოსკოვის ნაკრები გუნდი, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, მოვალე იყო პირველი მისულიყო ფინიშთან. მოსკოველები ძალიან უბრალოდ, მაგრამ საკმაოდ საიმედოდ და ნაცადი ნახაზით თამაშობენ. მოედანზე გამოდის ხუთი ათლეტური აგებულების თავდამსხმელი, რომელთაც კარგი, მძლავრი დარტყმა აქვთ. გადამცემი კი ერთი ჰყავთ — გიორგი მონძოლევსკი. გუნდის ტაქტიკური სქემაა „ერთი-ორი-სამი“ — არავითარი იმპროვიზაცია. ბურთის მიღება, გადაცემა, პასი — და აი, შეტევის ერთ-ერთი ოსტატი ბადესთანაა (უნდა შევნიშნოთ, რომ მოსკოველთა უმრავლესობა სსრ კავშირის ნაკრების წევრია). იგი ამთავრებს ბლოკთან ბრძოლას. შეიძლება თუ არა წინ აღუდგე ასეთ ძლიერ და ამასთან, ფსიქოლოგიურ იერიშს?

თურმე, შეიძლება. მეორე მიმართულების წარმომადგენლებად საბჭოთა ფრენბურთში ამჯერად აზერბაიჯანელები და უკრაინელები მოგვევლინენ. აზერბაიჯანის ფრენბურთელების თამაში მეტად საინტერესო და სანახაობრივად მომხიბლავი იყო, მაგრამ მათ ვერ გაუძლეს იერიშს, უბრალოდ, თამაშის კლასი არ ეყოთ.

უკრაინელებს კი ეს გასაჭირი არ აწუხებდათ. გუნდმა, რომელმაც საფრენბურთო ტურნირის სენსაცია მოახდინა, მოიპოვა ძნელი, მაგრამ ღირსსახსოვარი გამარჯვება. შეტევა პირველივე გადაცემიდან, დარტყმა აღმავალ ბურთზე, ცრუ დარტყმა, დიდი ტემპი. აი, რა მატებს ფრენბურთს სილამაზესა და ეფექტურობას. ყოველივე ეს გვიჩვენა უკრაინის ნაკრებმა, შემოქმედების შეუზღუდავი არე და, ამავე დროს, არავითარი შეუსაბამობა: კომბინაციური, მრავალფეროვანი თამაში მკაცრ ტაქტიკურ გეგმას ემორჩილებოდა (ამის დანახვა სრულიადაც არ გახლდათ ძნელი), ხოლო ამ გეგმის ყოველი მუხლის უზუსტეს შესრულებას უკრაინელთა მეტოქეები ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა.

აი, მათი ერთი შეხედვით უპრეტენზიო, მაგრამ ძალიან მზაკვრული ფანდი: მოსკოველებთან შეხვედრისას უკრაინელები უმთავრესად მონძოლევსკისკენ აძლევდნენ გეზს მოწოდებას. ამის შედეგად მოსკოველთა ერთადერთი მაკავშირებელი მოთამაშე გადაცემის უფლებას კარგავდა და გუნდის თავდასხმაც, ბუნებრივია, ირღვეოდა.

უკრაინის ნაკრებს „უვარსკვლავო გუნდს“ ეძახიან. ეს არაა სწორი. იური პოიარკოვმაც და ევგენი ლაპინსკიმაც დიდი ხანია მოიპოვეს სახელი და ახლა მათ მხოლოდ დაადასტურეს, რომ კარგი ფრენბურთელები არიან. უნდა ითქვას, რომ ისინი განსაკუთრებით როდი გამოირჩეოდნენ გუნდში. ტურნირი კარგად ჩაატარა მთელმა ნაკრებმა, მათ შორის, ახალბედებმაც. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა იური კლეშჩევმა აღნიშნა ლუგანსკელი ფრენბურთელის, 23 წლის ვლადიმერ ბელიაევის კარგი თამაში. ეს ორმეტრიანი გოლიათი შეიყვარა მოსკოველმა მაყურებელმა. ვფიქრობთ, მალე მას სსრ კავშირის ნაკრებში ვიხილავთ.

სპარტაკიადაზე კიდევ რამდენიმე საინტერესო სახელი გამოჩნდა. კლეშჩევი ასახელებს ახალგაზრდა ფრენბურთელებს: ბაქოელ გრიგოლ ფიმუშკინს, თბილისელ ვლადიმერ ასლანიდის და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ეფიმ ჩუვაკს. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაკარგა, ძალზე სჭირდება ახალი ძალები.

უკრაინის ნაკრების გამარჯვებას თითქოს უნდა გადაეწყვიტა ორი ზემოხსენებული შეხედულების მომხრეთა დავა. მაგრამ კატეგორიული დასკვნის გამოტანა, როგორც გამოირკვა, ნაჩქარევი იქნებოდა: ფრენბურთელმა ქალებმა ამ კითხვას სულ სხვაგვარი პასუხი გასცეს.

ქალთა გუნდების ასპარეზობაში პირველი ადგილი მოსკოვის ნაკრებს ხვდა. გუნდს ოქროს მედლები მოუტანა სწორედ იმ რაციონალურმა ტაქტიკამ, რომელმაც მოსკოველ ვაჟებს დათვური სამსახური გაუწია. საქმე მარტო ტაქტიკა როდია: მოსკოველ ქალთა გუნდი საგრძნობლად სჯობდა ყველა მეტოქეს. გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ აზერბაიჯანის ნაკრები.

ასეც უნდა მომხდარიყო. აი, სპარტაკიადის ჩემპიონთა სასტარტო ექვსეული: ანტონინა რიჟოვა, ტატიანა როდიონოვა, ტატიანა პონიაევა, ლიუდმილა გურეევა, ნადეჟდა როგოზინა (ან ვალენტინა ვინოგრადოვა), ლიუდმილა ბულდაკოვა. ყველა, გარდა ბულდაკოვასი, მირონ ვინერის სახელგანთქმული კოლექტივის — ცსკა-ს წევრია, ყველა, გარდა როგოზინასი, თამაშობს ან თამაშობდა ეროვნულ ნაკრებში. ასეთ კოლექტივთან სერიოზული მეტოქეობა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია.

მით უფრო საინტერესოა წარმატება აზერბაიჯანის გუნდისა, რომელმაც II ადგილი დაიკავა. ბაქოელი მწვრთნელის შამილ შამხალოვის აღზრდილები სასწაულებს ახდენდნენ დაცვაში და უაღრესად ზუსტად თამაშობდნენ შეტევის დროს, თუმცა აქ მხოლოდ ორი შემსრულებელი თამაშობს მოსკოველთა დონეზე. ესენი არიან ვერა ლანტრატოვა და ინა რისკალი, ცოტაც რომ მოენდომებინა რისკალს, გადამწყვეტი მატჩი მომავალ ჩემპიონებთან შეიძლება ბაქოელთა სასარგებლოდ დამთავრებულიყო.

ეს ბრწყინვალე ფრენბურთელი, რომელსაც ბევრი სპეციალისტი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ თვლის, კარგა ხანია არ უნახავთ დიდ ტურნირებში. ინამ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და მხოლოდ ამ გაზაფხულს შეუდგა ვარჯიშს. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, სპარტაკიადაზე იგი ერთ-ერთი უძლიერესი იყო.

რისკალმა მითხრა, თავს სავსებით ჯანმრთელად ვგრძნობ, მაგრამ ასპარეზობას ცოტა გადავეჩვიეო. სასპარტაკიადო ტურნირით იგი კმაყოფილი იყო, თუმცა მის დამთავრებას მოუთმენლად ელოდა. 23 წლის ბაქოელი სტუდენტი ცოლად მიჰყვება „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელს ალექსანდრე სიომინს. ახალგაზრდები სპარტაკიადის დამთავრებისთანავე აპირებენ ქორწილის გადახდას.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გამოვიდნენ სარბიელზე ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრები ლიუბოვ ევტუშენკო, ვალენტინა ვინოგრადოვა (იგი სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი იყო) და ვალენტინა მიშაკიც. მე ვკითხე ნაკრების უფროს მწვრთნელს ოლეგ ჩეხოვს, როგორ მოეწონა ამ ფრენბურთელთა თამაში და კვლავ მიიწვევენ თუ არა მათ ნაკრებში?

— რისკალს უთუოდ, — მიპასუხა მწვრთნელმა. — თუმცა იგი ჯერ კიდევ არაა მზად ნაკრებში სათამაშოდ. დანარჩენებს კიდევ დიდი მუშაობა სჭირდებათ, რათა მთლიანად აღიდგინონ ფორმა.

ჩეხოვმა თქვა, რომ მისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო ყაზახეთისა და უზბეკეთის გუნდების კარგი თამაში. ეს ეხება ამ რესპუბლიკების ვაჟთა გუნდებსაც. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ყაზახეთის ფრენბურთელმა ვაჟებმა, რომლებმაც ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს. ლამაზი, თანამედროვე ფრენბურთი გვიჩვენა ბელორუსიის ქალთა ნაკრებმაც.

რაციონალური და კომბინაციური ფრენბურთის უპირატესობისა თუ ნაკლის საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ყოველ შემთხვევაში, ოქროს მედლები თანაბრად გაიყვეს ორივე მიმართულების მომხრეებმა. როგორი ფრენბურთია უკეთესი? ამ თემაზე დაობდნენ და დაობენ და, ალბათ, დავა გაგრძელდება.

ს. სრეზნიცკი.

დარჩა 2 ტური

ბათუმში გრძელდება მოშაშეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის ცნობილი დიდოსტატები და ოსტატები მონაწილეობენ. ჩვენი კორესპონდენტი გ. ჭანტურია გვატყობინებს, რომ XIII ტურის შემდეგ ასპარეზობას ლიდერობენ საერთაშორისო ოსტატები ვ. კაპლანი (სსრ კავშირი) და ტ. სეიბრანდსი (ჰოლანდია) — 9,5-9,5. სსრ კავშირის ჩემპიონს, რიგელ დიდოსტატ ა. ანდრეიკოსა და ლენინგრადელ საერთაშორისო ოსტატ ს. მანშინს 8,5-8,5 ქულა აქვთ. შეჯიბრების დამთავრებას 2 ტური აკლია.

დაუღალავი ვარჯიშით...

„ლელოს“ კორესპონდენტი ჯ. ჭელიძე შეხვდა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს, 17 წლის ტ. სეიბრანდსს (ჰოლანდია) და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე:

● **პირველად როდის ითამაშეთ საერთაშორისო შეჯიბრებაში და როგორი იყო თქვენი წარმატება?**

— საერთაშორისო ტურნირში პირველად მონაწილეობა მივიღე 1965 წელს, ჰოლანდიაში. კარგად ვითამაშე — III ადგილი დავიკავე. ჩამოვიტოვე ისეთი ოსტატები, როგორიც არიან ბაბა სი, ნ. სრეტენსკი. მივუგე შჩოგოლევს, რომელიც მაშინ მსოფლიო ჩემპიონი იყო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე მხოლოდ 15 წლის ვიყავი.

„ლელო“ ინტერვიუ

● **რა გზით მიაღწიეთ ასეთ წარმატებებს?**

— მხოლოდდამხოლოდ ყოველდღიური, დაუღალავი ვარჯიშით. შაშის შესწავლა 10 წლისამ დავიწყე. დიდი დახმარება გამიწია სპეციალურმა ლიტერატურამ.

● **ვინ მიგაჩნიათ ყველაზე ძლიერ მოშაშედ მსოფლიოში?**

— მსოფლიოში უძლიერეს მოშაშედ უყოყმანოდ მიმაჩნია თქვენი ქვეყნის წარმომადგენელი ანდრეიკო.

● **როგორია, თქვენი აზრით, ასუჯრიანი შაშის პერსპექტივები?**

— ვიმედოვნებ, რომ იგი უფრო პოპულარული გახდება.

ჩვენი ძმა რესპუბლიკებში

გზა მშვიდობისა, ალი-ბაირამლი!

გზატკეცილი ბორცვებში მიიკლაკნება. მოსახვევში წარწერა შემოგვეგებება:

„გზა მშვიდობისა! ჩვენი ქალაქი კვლავაც გელით!"

ნახვამდის, ალი-ბაირამლი! დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს თანამგზავრს მეჯიდ ტალიშლისაც. ის რომ არა, ამ ქალაქს ვერ ვნახავდი.

მეჯიდ ტალიშლი ფიზკულტურული მუშაკია, რესპუბლიკური სპარტაკიადის წინა დღეებში მასთან ერთად ვიმოგზაურე აზერბაიჯანში. ვიყავით სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში, ვნახეთ ნეფტეჭალის ცნობილი თევზის სარეწაოები, სალიანის რაიონის ბამბის მინდვრები, მწვანეში ჩაფლული ლენქორანი. უკან დაბრუნებისას მეჯიდმა გადაჭრით გამომიცხადა:

— უეჭველად უნდა შევიაროთ ალი-ბაირამლიში.

და ჩვენც გადავუხვიეთ ბაქოსკენ მიმავალი გზიდან.

ქალაქი ადგილობრივი სპორტკავშირის თავმჯდომარემ თოფიკ ხალილოვმა გაგვაცნო. აი, 26 წლის, ხმელხმელმა, მოუსვენარმა და მეტად სიმპათიურმა ახალგაზრდამ. მაშინვე გამოირკვა, რომ იგი სპორტის ოსტატია კლასიკურ ჭიდაობაში, აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლობს და მხურვალე პატრიოტია თავისი მშობლიური ქალაქისა.

თოფიკი ალი-ბაირამლის, ასე ვთქვათ, ფიზკულტურული პოზიციებიდან გვაცნობდა. დღეს ამ ქალაქში 32 ათასი მცხოვრებია. მათ განკარგულებაშია ორსართულიანი სპორტის სასახლე, სტადიონი, ორი საცურაო აუზი, ბავშვთა სპორტული სკოლა, მრავალი სათამაშო მოედანი, სპორტდარბაზები. ყველაფერი ეს დიდი მუყაითობით, გემოვნებითაა გაკეთებული და ნაწილობრივ არქიტექტურული ფანტაზიაც ურევია.

მაგალითად, ავიღოთ საზაფხულო აუზი ქალაქის ბავშვებისთვის. ხელოვნური ტბა — 2500 კვადრატული მეტრი. შუა ტბაში თვალწარმტაცი პატარა კუნძული ამოზრდილა ნაირფერი „ქოლგებითა" და „სოკოებით". კუნძულისკენ ორი მხრიდან ხიდები გაუდევთ და მთელი აუზი საუცხოო არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს.

ვინ ქმნის ქალაქის სპორტულ სახეს?

დამისახელეს ახალგაზრდა არქიტექტორი სვეტლანა კლეინი. ახსენეს კიდევ რამდენიმე ინჟინერი, მშენებელი, საწარმოს ხელმძღვანელი, მაგრამ მაშინვე დაუმატეს:

— საერთოდ კი მთელი მშენებლობის თაოსანი ქალაქის პარტიის კომიტეტის მდივანი ბილალ ქერიმოვია.

ჩვენ გავიცანით ერთმანეთი. ქერიმოვმა ახლახან ორმოცს გადააბიჯა. თავდაპირველად მონტიორად მუშაობდა თურმე, შემდეგ ინდუსტრიული ინსტიტუტი დაუმთავრებია და ნავთობის სპეციალისტი გამხდარა. პრაქტიკული მუშაობის მრავალი წლის მერე ბრწყინვალედ დაუცავს დისერტაცია ნავთობის ზღვის საბადოების ძიებისა და დამუშავების საკითხზე და გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიუნიჭებიათ. ერთი სიტყვით, ამ კაცს აქვს მუშის შრომის უნარი, ინჟინრის ცოდნა და მეცნიერის ფართო თვალთახედვა. რა გატაცებით ლაპარაკობს იგი ალი-ბაირამლის მომავალზე!

— რევოლუციამდელი ალი-ბაირამლი ერთი ნამცეცა დაბა იყო რკინიგზის წყალსატუმბთან. ირგვლივ ტრამალი გადაჭიმულიყო და სულ რამდენიმე ათეული სახლი იდგა. ახლა კი იგი მსხვილი საწარმოო ცენტრი, მენავთობეებისა და ენერგეტიკოსების ქალაქია. სსრ კავშირსა და ევროპაში პირველი და უდიდესი ღია ტიპის ელექტროსადგური ილიჩის სახელს ატარებს. მასზე უკვე დღეს აზერბაიჯანის მთელი ენერგეტიკული სიმძლავრის ერთ მესამედზე მეტი მოდის. ქალაქის საწარმოებში ბევრი ახალგაზრდა მუშაობს, სასწავლო დაწესებულებები ზრდიან ტექნიკურ და კულტურულ კადრებს — მენავთობეებს, მშენებლებს, მძღოლებს, მედიცინის მუშაკებს, პედაგოგებს, მუსიკოსებს.

ალი-ბაირამლის ახალგაზრდებს უყვართ სპორტი. მათივე აქტიური მონაწილეობით, სახალხო მშენებლობის მეთოდით აშენდა საუკეთესო სტადიონი, სადაც იმართება მატჩები, ეწყობა სპორტული დღესასწაულები. ჩვენ რომ მივედით, მაგალითად, სტადიონზე, ჭაბუკი ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ ქალაქია საფეხბურთო სკოლის მწვრთნელის, ბაქოს „ნეფტიანიკის" ყოფილი მოთამაშის ნაგი ბაბაევის ხელმძღვანელობით. სხვათა შორის, აზერბაიჯანის მოსწავლეთა სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრება ალი-ბაირამლის ჭაბუკებმა მოიგეს.

ახლახან ალი-ბაირამლის სპორტსმენებს რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს. მთელი აზერბაიჯანი მოიცვა შეჯიბრებამ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის უკეთ ორგანიზაციაში. ალი-ბაირამლი ამ შეჯიბრებაში პირველი იყო. ქალაქის ყოველი მესამე მცხოვრები ფიზკულტურასაა ნაზიარები. მარტო ბოლო ერთ წელიწადში ალი-ბაირამლის საწარმო-დაწესებულებებში და მშენებლობებზე 2400 ახალი თანრიგოსანი გამოჩნდა: ფეხბურთელები, მოკრივეები, ფრენბურთელები, მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები. საამაყო ბევრი აქვთ პატარა ქალაქის სპორტსმენებს: მათ გაუსწრეს რესპუბლიკის ისეთ ცნობილ სპორტულ ცენტრებს, როგორიცაა ბაქო, სუმგაითი, სტეპანაკერტი.

მალე ქალაქს ექნება ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის პარკი, რომელიც დიდი სპორტული ცენტრიც უნდა იყოს. მწყობრში ჩადგა სათამაშო მოედნების კომპლექსი (ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები), ხელოვნური არხი, სადაც ნიჩბოსნობაში გაიმართება შეჯიბრებები. მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულები საზაფხულო პავილიონს მიიღებენ. თავისი „სამეფო" ექნებათ წყალში მხტომელებსა და მოცურავეებსაც. ყველაფერი ეს ქალაქის ყველა დაწესებულების ძალებით კეთდება. ასე იყო მაშინაც, ნაჭაობარზე სტადიონს რომ აშენებდნენ.

მ. ზასლავსკი.

აზერბაიჯანში ძალიან პოპულარულია ეროვნული ჭიდაობა „გულეში". ერთი დღესასწაული არ არის, რომ რჩეულმა ფალავნებმა ერთმანეთთან ჭიდილში არ სცადონ მკლავის ძალა.

მეტოქენი საგანგებო შარვლებში გამოწყობილი გამოდიან სარბიელზე (ხან ხალიჩაზე, ხან პირდაპირ მდელოზე). წესებით „გულეში" თავისუფალ ჭიდაობას ჰგავს. ბრძოლა ათ წუთს გრძელდება. წმინდად იმარჯვებს ის მოჭიდავე, რომელიც მეტოქეს ბეჭებით დააწვენს მიწაზე. თუ ეს არ მოხერხდა, გამარჯვებას ქულების მიხედვით უფრო აქტიურს მიაკუთვნებენ.

ს უ რ ა თ ზ ე: კიროვაბადის უძლიერეს მოჭიდავეთა — სამედიცინო სასწავლებლის პედაგოგის 48 წლის ვ. გაჯიევისა (მარჯვნივ) და საწარმოო სწავლების ტექნიკუმის მასწავლებლის ა. ჯაფაროვის ორთაბრძოლა.

ფოტო ა. დიუგაჩისა.

თ. ვ. ფიცხელაური

გარდაიცვალა ქართული სპორტის ერთ-ერთი ვეტერანი, ფიზიკური აღზრდის პედაგოგთა ძველი პლეადის წარმომადგენელი, სკკპ წევრი 1941 წლიდან, თომა ვასილის ძე ფიცხელაური.

თ. ფიცხელაური დაიბადა 1913 წელს თბილისში, ხელოსნის ოჯახში. 1933 წელს დაამთავრა თბილისის 1-ლი საგზაო ტექნიკუმი და რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში გზებისა და ხიდების მშენებლობაზე. იგი გაიტაცა სპორტმა, რომელიც მას შეაყვარა საქართველოში სპორტული მოძრაობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა გიორგი ნიკოლაძემ. თ. ფიცხელაური ვარჯიშობდა ძალოსნობაში, იყო თბილისის ჩემპიონი და ამავე დროს სწავლობდა ფიზკულტურის ინსტიტუტში. 1939 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და მას შემდეგ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებლად.

დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებიდან თ. ფიცხელაური გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, შავი ზღვის ფლოტში, სადაც ერთ-ერთ ხომალდზე ხელმძღვანელობდა მებრძოლთა ფიზიკური მომზადების საქმეს. სევასტოპოლის გმირული დაცვის დღეებში ოფიცერი თ. ფიცხელაური ღირსეულად ებრძოდა ფაშისტებს საბჭოთა მეზღვაურთა რიგებში, რამდენიმეჯერ მძიმედ დაიჭრა კიდეც.

თ. ფიცხელაური დაჯილდოებული იყო სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, მედლებით სევასტოპოლისა და კავკასიის დაცვისათვის 1966 წელს მან დაიმსახურა „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის" საპატიო ნიშანი.

თ. ვ. ფიცხელაური იყო მზრუნველი აღმზრდელი, გულისხმიერი ამხანაგი და მეგობარი. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ფეხ
ბურ
თი 67

სსრ კავშირის პირველობა

[illegible]

დღეს, სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის I წრის დასასრულს, მოსკოვში ითამაშებენ ადგილობრივი „სპარტაკი" და ბაქოს „ნეფტიანიკი" და გათამაშება მიაღწევს ზუსტად ეკვატორს. 5 აგვისტოს დაიწყება II წრე.

მოგვყავს ბოლო შეხვედრებში გატანილი გოლების ავტორთა ვინაობა: „ტორპედო" (მოსკოვი) — „პახტაკორი" 1:0 (ბრედნევი), „კრ. სოვეტოვი" — ასკ (როსტოვი) — 2:0 (ჟუკოვი, გორშკოვი), „დინამო" (მინსკი) — „ჩერნომორეცი" 4:0 (მუსტიგინი, სავოსტიკოვი, გირკო, ვასილიევი). მოსკოვის „დინამოსა" და „არარატის" შეხვედრაში მოსკოველთაგან გოლის ავტორი იყო გუსაროვი (პენალტი), საპასუხოსი — კაზარიანი.

გუშინ...

გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები. მოსკოვში ცსკა შეხვდა დონეცკის „შახტიორს".

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

კიევის დინამოელები ლენინგრადში ეთამაშნენ ადგილობრივ „ზენიტს".

მატჩის შედეგია 3:0 უკრაინელ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ფეხბურთის ახალი ამბები

მიუნჰენი. გფრ-ის ორმა უძლიერესმა კლუბმა „მიუნჰენ 1860" და „ბაიერნმა" (მიუნჰენი) „ჯენტლმენური ხელშეკრულება" დადეს: კლუბები შეპირდნენ ერთმანეთს, რომ 5 წლის მანძილზე არ გადაიბირებენ ერთიმეორის ფეხბურთელებს.

ბონი. გფრ-ის უმაღლეს ლიგაში ყოველთვის თამაშობდნენ უცხოელი ფეხბურთელები. წელს მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ქვეყნის უძლიერეს გუნდებში ითამაშებს 11 იუგოსლაველი, 3 დანიელი, 2 ურუგვაელი, 2 ფრანგი, 2 ავსტრიელი, 2 უნგრელი, 1 თურქი და 1 პოლონელი. საინტერესოა, რომ უძლიერეს კლუბებს უცხოელი მწვრთნელები ავარჯიშებენ: იუგოსლაველი ზ. ჩაიკოვსკი — მიუნჰენის „ბაიერნს", უნგრელი ე. შვარცი — ფრანკფურტის „აინტრახტს", ავსტრიელი მ. მერკელი — „ნიურნბერგს", უნგრელი დ. ლორანტი — „კაიზერსლაუტერნს", ფრანგი პ. ფრანცი — „კარლსრუეს" და სხვ.

▲ **რომი.** იტალიის ველოსიპედისტთა ნაკრებმა 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში 4.26,0 აჩვენა და ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. კასტელომ, კრემელომ, პანზინომ და რონკაიოლომ საშუალოდ 53,9 კმ სიჩქარით იარეს.

▲ **ლონდონი.** 21 წლის სტუდენტმა ქალმა ლ. გრაიმ ლამანში სარეკორდო დროში — 10 საათსა და 24 წუთში გადაცურა.

▲ **პარიზი.** მძლეოსანთა აქ გამართული ასპარეზობისას 38 წლის პ. კოლნარმა საფრანგეთის ახალი რეკორდი (18,40) დაამყარა ბირთვის კვრაში.

▲ **ნიუ-იორკი.** როგორც ცნობილია, მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონს, დაუმარცხებელ კასიუს კლეის ტიტული უბრძოლველად ჩამოართვეს. ახლა არჩევენ კანდიდატებს, რომელთაგანაც ახალი ჩემპიონი უნდა გამოვლინდეს. ერთი ასეთი შესარჩევი მატჩი აქ გაიმართა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფრეზერმა 12-რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა კანადელი ჯ. ჩუვალო. ეს ფრეზერის მე-17 გამარჯვებაა პროფესიულ რინგზე.

ყურადღება!

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე თბილისის საწარმო-დაწესებულებების გადასვლასთან დაკავშირებით, ქალაქის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საორგანიზაციო სამმართველო ფიზკულტურასა და სპორტში თბილისის მოსახლეობის მასობრივად ჩაბმის მიზნით 5 აგვისტოდან 31 აგვისტომდე დასვენების დღეებში — შაბათსა და კვირას უფასოდ გამოყოფს სპორტულ მოედნებსა და დარბაზებს 10 საათიდან 20 საათამდე შემდეგ სპორტულ ბაზებზე:

1. კალათბურთის მოედნები (ცირკის სახ. პარკში);
2. ველოტრეკი (ცაბოს ქ. № 89);
3. ჩოგბურთის კორტები (მარჯანიშვილის ქ. № 29);
4. ფრენბურთის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 118).

გარდა ამისა, თბილისის ზღვის წყალგამწმენდობის სადგურის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდება ცურვის, თევზჭერის, ნიჩბოსნობისა და აფროსნობის სექციები.

ცნობებისათვის მიმართეთ სპორტსაზოგადოებათა სამმართველოს (ორჯონიკიძის ქ. № 62). ტელეფონები: 5-97-51, 5-97-93; ველოტრეკი: 5-22-67; თბილისის ზღვა: 6-41-04.

ინდექს 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 6 უე 03326